ავტობიოგრაფია

სალომე სამხარაძე

2007 წელს ჩავირიცხე ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე. 2011 წელს კი, მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2014 წელს სწავლა განვაგრძე ,,საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე. 2016 წელს კი, მომენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ბაკალავრის პროგრამაზე სწავლის პერიოდში 2010 წელს, გავიარე სტაჟირების სრული კურსი საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2011 წელს მუშაობა დავიწყე თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილებაში სპეციალისტის პოზიციაზე. მოგვიანებით, ამავე წელს, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის სხდომის მდივნად. 2013 წელს ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, დავინიშნე მოსამართლის თანაშემწედ. 2016 წელს ამავე სასამართლოში დავინიშნე მოსამართლის თანაშემწედ - მთავარ კონსულტანტად. ამავე წელს, მოგვიანებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, დავინიშნე მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე.

სასამართლო სისტემაში მუშაობის დროს, ხშირად ვესწრებოდი პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. მონაწილეობა მაქვს მიღებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტში: სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტი (USAID, 2010 წელი), ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში (USAID, 2018 წელი), მართლმსაჯულების ზაფხულის სკოლა (USAID, 2019 წელი).

2018 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ხოლო 2019 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2019 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალში გამოქვეყნდა, ჩემ მიერ, მომზადებული სტატია, სახელწოდებით - „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას".

2019 წელს ჩავირიცხე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად. 2020 წელს შემაჯამებელი გამოცდის ჩაბარების შედეგად, დავასრულე იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსი.

სალომე სამხარაძე

29.10.20